



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ბელნაწერის უფლებით

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფსიქოლოგიის, ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების
საგანმანათლებლო პროგრამა

ხატია წიკლაური

მორწმუნეებისა და ათეისტების
ღირებულებათა კვლევა საქართველოში

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

სპეციალობა: ფსიქოლოგია

თბილისი

2016 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) ფსიქოლოგიის მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **დიმიტრი ნადირაშვილი**, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები:

1. **მაია კალანდარიშვილი**, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
2. **მავა ხარშილაძე**, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 27 თებერვალს, 12⁰⁰ საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, წმ. ილია მართლის სახ. აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 201 წლის

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
ნონა ახალაშვილი,
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სარჩევი

	ბვ.
ნაშრომის ზოგადი დახასიათება	
თემის აქტუალობა -----	4
კვლევის ჰიპოთეზა -----	4
კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები -----	5
ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები -----	6
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები -----	7
ნაშრომის თეორიული ღირებულება -----	8
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა -----	9
ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა -----	10
ნაშრომის ძირითადი შინაარსი	
თავების ანოტაციები -----	11
დასკვნა -----	18
დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა -----	20

ნაშრომის ზოგადი დახასიათება თემის აქტუალობა

ადამიანის ღირებულებების შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. პიროვნების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორები: პოლიტიკური და სოციალური გარემო, კულტურა, ოჯახი, პიროვნული მახასიათებლები, რელიგია. ღირებულებათა იერარქია შეიძლება შეიცვალოს რადიკალური პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პერიოდში, რასაც თან სდევს ძველი ღირებულებების გადაფასება და ახალი ღირებულებათა სისტემის შექმნა.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა ღირებულებათა შორის ბრძოლა, რაც გამოწვეული იყო არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებების ცვლილებებით. ეს განსაკუთრებით ეხება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს.

ამდენად, მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორ შეიცვალა ჩვენი საზოგადოება ბოლო 20-25 წლის მანძილზე, რა ცვლილებები მოხდა მის ღირებულებათა სისტემაში, რა ღირებულებებია დომინანტური, რა ტენდენციებია საზოგადოებაში რელიგიურობის თვალსაზრისით, რამდენადაა რელიგიურობა მნიშვნელოვანი ადამიანებისათვის, განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სხვადასხვა აღმსარებლობებისა და საზოგადოების არამორწმუნე ნაწილის ღირებულებათა სისტემები, და, თუ განსხვავდება, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავება, ხომ არ შეუქმნის ეს პრობლემას სხვადასხვა აღმსარებლობების ადამიანთა თანაცხოვრებას საქართველოში.

კვლევის ჰიპოთეზა

პიროვნების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიგიაც. თუ არამორწმუნის ღირებულებათა სისტემის სტრუქტურა მისი

პიროვნული ინდივიდუალურობით არის განპირობებული, მორწმუნის ღირებულებები იმ რელიგიის შესაბამისი უნდა იყოს, რომლის აღმსარებელიცაა.

ამის გათვალისწინებით, კვლევის დასაწყისში ჩვენ ორი ჰიპოთეზა გამოვკვეთეთ:

1. მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან;
2. სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების აღმსარებელი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა ამ ჰიპოთეზების შემოწმებას.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებების კვლევა, რათა გაგვეგო, არის თუ არა განსხვავებული მათი ღირებულებათა სისტემები; რომელი ღირებულებებია წამყვანი ტრადიციული რელიგიების აღმსარებელთა და ათეისტებისათვის; განსხვავებულია თუ არა სხვადასხვა ტრადიციული რელიგიების აღმსარებელთა ღირებულებათა სისტემები ერთმანეთისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შეგვესწავლა ღირებულებათა, ასევე რელიგიურობის პრობლემისადმი მიძღვნილი ლიტერატურა და აღნიშნული საკითხების შესასწავლად განხორციელებული კვლევები, ჩაგვეტარებინა საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიების აღმსარებელთა და ათეისტი ადამიანების გამოკითხვა ღირებულებათა სისტემის თავისებურებების საკვლევად, დაგვემუშავებინა გამოკითხვის შედეგები და გაგვეკეთებინა ანალიზი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კვლევა, რომელშიც შედარებულია ტრადიციული რელიგიების აღმსარებელთა და ათეისტების ღირებულებათა სისტემები, საქართველოში ჩატარებული არ არის.

გარდა ამისა, დღემდე საქართველოში, ღირებულებათა სისტემის კვლევის დროს, მორწმუნედ ითვლებოდა ადამიანი, რომლის რელიგიურობა მის თვითშეფასებაზე იყო დამოკიდებული. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, ადამიანი თვლის თუ არა თვითონ თავს მორწმუნედ, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ არა მარტო სუბიექტური კრიტერიუმი (თვითშეფასება), არამედ ობიექტურიც - როგორ ახდენს მორწმუნის იდენტიფიცირებას კონკრეტული რელიგია. ამის გათვალისწინებით ჩვენს კვლევაში საკვლევი ჯგუფები შემდეგნაირად დაზუსტდა: მორწმუნედ მივიჩნიეთ ადამიანი, რომელიც იღებს და იზიარებს შესაბამისი რელიგიის დოგმატებს და არის მრევლის წევრი.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების დახმარებით გავაკეთეთ პროგნოზირება, თითოეული რელიგიური ჯგუფის რაოდენობრივი მომატება ან შემცირება როგორ ცვლის საზოგადოებას, რა მსოფლმხედველობრივი ცვლილებები მოხდება ადამიანების ღირებულებათა სისტემაში.

კვლევის ძირითადი შედეგია ის, რომ დადასტურდა ჩვენი ორივე ჰიპოთეზა - ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც მორწმუნისა და ათეისტის, ასევე სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელი ადამიანების ღირებულებათა სისტემები. მორწმუნეთათვის პრიორიტეტულია კოლექტივისტური (კეთილგანწყობა, კონფორმულობა, უსაფრთხოება), ხოლო ათეისტებისთვის - ინდივიდუალისტური (მიღწევა, დამოუკიდებლობა, სტიმულაცია) ღირებულებები. მორწმუნეთათვის მნიშვნელოვანია სულიერი ცხოვრება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ათეისტებისთვის. ხოლო სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლების ღირებულებათა სისტემებმა განსხვავება მოგვცა დისპერსიული, ფაქტორული და რეგრესიული

ანალიზის შედეგად. კვლევის შედეგად ასევე აღმოჩნდა, რომ ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს რელიგია. ჩვენს მიერ კვლევის პროცესში გათვალისწინებული ფაქტორებიდან რელიგიის შემდეგ გავლენას ახდენს ეროვნება და ასაკი, შედარებით ნაკლებ გავლენას - სქესი, განათლება, დასაქმება და მატერიალური მდგომარეობა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველები

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ფსიქოლოგია, თეოლოგია, ფილოსოფია, სტატისტიკა, მათემატიკა, შერჩევითი კვლევები და სხვ. ნაშრომის კვლევის მიზანი ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან დარგს - სოციალურ ფსიქოლოგიას ეხება, თუმცა, კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანწილად მოიცვა რელიგიის, გენდერული, შრომის და ზოგადი ფსიქოლოგიის დარგები. კვლევის საფუძველს წარმოადგენს შვარცის მიერ შემუშავებული ადამიანის ღირებულებათა სისტემის თეორიული კანონზომიერებანი. გამოკითხვა განხორციელდა დახურული კითხვარების გამოყენებით. ინტერვიუება მიმდინარეობდა ინდივიდუალურად თითოეულ რესპონდენტთან და საშუალება გვქონდა, დავკვირვებოდით ცდის პირის მიმიკას, უნებლიე რეაქციებს და კითხვარის მიმართ დამოკიდებულებას.

კვლევის ემპირიული ნაწილი - გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდის დახმარებით სტატისტიკურ-მათემატიკური კანონზომიერებით გამოვავლინეთ კონკრეტული ჯგუფების თვისობრივი მახასიათებლების გავრცელება და გამოვლენის სიხშირე. ხოლო თვისობრივი მეთოდით მოვახდინეთ ფენომენის სიღრმისეული შესწავლა. ანალიტიკური კვლევა მიზნად ისახავდა როგორც სოციალური პრობლემის აღწერას, ისე მისი მამოძრავებელი ძალებისა და მიზეზების გამოააშკარავებას.

შერჩევა განხორციელდა კლასტერულ-შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით ყველა წესის სრული დაცვით. ანუ შერჩევითი ერთობლიობა იყო რეპრეზენტაბელური და მიღებული შედეგები სრულად განზოგადდა საქართველოს მთელ მოსახლეობაზე. შემუშავდა პირველადი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების და ანალიზის სპეციალური ხერხები, კვლევის ინსტრუმენტარი, რამაც უზრუნველყო მიღებულ შედეგების საფუძველზე გათვლილი პროგნოზირების მაღალი ხარისხი. მონაცემთა დამუშავების პროცესში აღწერილობითი სტატისტიკით მიღებული ყველა შედეგი გადამოწმდა ან დაზუსტდა დასკვნითი სტატისტიკის მეთოდებით. შემოწმდა შედეგების სანდოობა და სტატისტიკური მნიშვნელობა.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული ღირებულება, პირველ რიგში, მდგომარეობს საქართველოში ადამიანების ღირებულებათა სისტემის კვლევის მეთოდოლოგიის განვითარებაში. ჩვენი კვლევის დაწყებამდე შვარცის ღირებულებათა საკვლევ კითხვარი საქართველოში რამოდენიმეჯერ იქნა გამოყენებული. თუმცა შედეგების გამოქვეყნებისას არსად არ იყო მითითებული, რამდენად მოხდა აღნიშნული კითხვარის ქართულ (საქართველოს მოქალაქე) საზოგადოებაზე ადაპტირება და კვლევის შემდეგ მიღებული შედეგების სანდოობის განსაზღვრა. ჩვენი კვლევის პროცესში მოხდა აღნიშნული კითხვარის ქართულ პოპულაციაზე აპრობაცია და ადაპტაცია.

ემპირიული ნაწილის შედეგების საფუძველზე ათეისტი და 5 რელიგიური ჯგუფისათვის განისაზღვრა ის ღირებულებითი მახასიათებლები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული მიმდინარეობისათვის. ასევე დადგინდა სხვადასხვა ღირებულებითი მიმართულებები, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა შემცირებით ან გაზრდით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კუთხით. ერთ-ერთია მორწმუნისა და ათეისტის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა, რა არის პრიორიტეტული თითოეული ამ ჯგუფისათვის, რა სახის ქცევას უნდა ველოდოთ მათგან, რა გარეგანი თუ შინაგანი კონფლიქტი შეიძლება იყოს მათ პიროვნებაში, რისი მოლოდინი აქვს მორწმუნესა და ათეისტს ცხოვრებისგან, რა საფრთხეებია მათ წინაშე, რას შეიძლება გაუმკლავდნენ, ან პირიქით, რა წინააღმდეგობების გადალახვა გაუჭირდებათ, რა აშფოთებთ და რა აძლევთ სტიმულს და ა. შ.

კვლევის შედეგები გარკვეულწილად შეიძლება დაგვეხმაროს სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებაში - შესაბამისი რელიგიების წარმომადგენლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვაში, რომ გავერკვეთ, რა დაპირისპირებები შეიძლება მოხდეს განსხვავებული ღირებულებების მქონე ადამიანებსა და ჯგუფებს შორის და როგორ შეიძლება ეს წარმოჩინდეს სხვადასხვა ვითარებაში (თვითგადარჩენა თუ თვითგამოხატვა), როგორ წარვმართოთ სიტუაცია, მათი ურთიერთობა კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს თუ პირიქით, იყოს ურთიერთ-გამამდიდრებელი - დისკუსიები გაიმართოს მათ შორის და სხვა.

ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ეთნოპოლიტიკის წარმართვაში, რადგან გარკვეული რელიგიის წარმომადგენლები ეკუთვნიან გარკვეულ ეთნოსებს, მაგ., მონოფიზიტები საქართველოში არიან მხოლოდ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები, ხოლო იუდეველები - ებრაელები.

აღნიშნული შედეგები შეიძლება გაითვალისწინონ სპეციალისტებმა სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებთან მუშაობაში მათი მსოფლმხედველობის მიხედვით.

კვლევის შედეგები შეიძლება გასათვალისწინებელი აღმოჩნდეს სასულიერო პირებისთვის მრევლთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

საქართველოში მცხოვრები მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა კვლევის შედეგები დაეხმარება სხვადასხვა

დარგის (ფსიქოლოგია, სოციოლოგია) მკვლევარებს რელიგიური და არარელიგიური ადამიანების, ასევე ზოგადად ქართველი საზოგადოების ღირებულებათა სისტემის შემდგომი შესწავლის საქმეში, ასევე სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებს კვლევის დაგეგმვის, კვლევის დიზაინისა და კვლევის ამოცანების განსაზღვრისას.

როგორც კვლევის შედეგებიდან აღმოჩნდა, ქალებში მეტია ისეთი ღირებულებების ხვედრითი წილი, როგორებიცაა: ტრადიციულობა, კეთილგანწყობა, უნივერსალიზმი, უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა ჩართულობის გაზრდა საქართველოში დღეს არსებული პრობლემების ფონზე (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საგარეო ურთიერთობების დარეგულირება და სხვ.).

ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საშუალო და უმაღლესი განათლების პედაგოგებს. კვლევის შედეგებმა დაასაბუთა, რომ ახალგაზრდებში დევს მნიშვნელოვანი პოტენციალი სტიმულირების, დამოუკიდებლობისა და მიღწევის კუთხით. ეს საფუძველს ჩაუყრის ისეთი თაობის გაზრდას, რომელიც შექმნის განვითარებულ, დამოუკიდებელ, ერთიან, სოციალურად ორიენტირებულ და უსაფრთხო ქვეყანას. ამ საქმეში კი გასათვალისწინებელია სხვადასხვა რელიგიების მიმდევარი ადამიანების მსოფლმხედველობრივი თავისებურებები.

ნაშრომი შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს იმ ადამიანებისთვის, ვინც დაინტერესებულია ჩვენს საზოგადოებაში მომდინარე სოციალურ-ფსიქოლოგიური და რელიგიური პროცესებით.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შეიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 229 გვერდს, მათ შორის ტექსტი 161 გვერდია. ტექსტი აკრეფილია Sylfaen-12-ში. ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისაგან. შესავალი შედგება 6 ნაწილისგან, პირველი თავი შეიცავს 6-ს, ხოლო მეორე თავი - 4 პარაგრაფს. მეორე თავის მე-4 პარაგრაფი

შედგება 7 ქვეთავისგან, რომლის მე-2, მე-3 და მე-5 ქვეთავები შეიცავენ შესაბამისად 2, 5 და 2 ნაწილს. გამოყენებულია 97 ცხრილი, 3 გრაფიკი და 1 რუკა.

ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც შედგება 109 დასახელებისგან და დანართი, რომელშიც წარმოდგენილია:

1. კითხვარი, რომლითაც ჩატარდა გამოკვლევა;
2. კითხვარის გასაღები;
3. სამუშაო ცხრილები.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი თავების ანოტაციები

ნაშრომი შეიცავს ორ თავს: ლიტერატურის მიმოხილვასა და ემპირიულ ნაწილს.

ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავს ღირებულებათა და რელიგიურობის შესახებ სხვადასხვა მეცნიერებისა და მკვლევარების ნაშრომების მიმოხილვას. აღნიშნული თავი შედგება 6 პარაგრაფისგან.

პირველ პარაგრაფში („ღირებულების ცნება“) საუბარია ღირებულების განმარტების შესახებ, მოყვანილია სხვადასხვა ავტორის (გ. ოლპორტი, მ. როკიჩი, რ. ინგლჰარტი, კ. როჯერსი, შ. შვარცი, დ. უზნაძე და სხვ.) შეხედულება, თუ როგორ განმარტავენ და აფასებენ ისინი ადამიანის ღირებულებათა სისტემას. განხილულია შ. შვარცის მიერ მოწოდებული ადამიანის საბაზისო ღირებულებათა თეორია, მის მიერ ღირებულებების დაჯგუფების შედეგად გამოყოფილი 10 მოტივაციური ტიპი, რომელიც გაერთიანებულია კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ ღირებულებათა ჯგუფებად, ასევე დამოკიდებულება აღნიშნულ ტიპებს შორის.

მეორე პარაგრაფში („ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება“) განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ

ადამიანის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული რელიგიის გავლენაზე ღირებულებათა სისტემის ფორმირების პროცესში.

მესამე პარაგრაფი („ღირებულებათა გაზომვა“) ეხება სხვადასხვა მკვლევარების ცდებს და იმ მეთოდებს, რომლებითაც ისინი ცდილობდნენ ადამიანისა და საზოგადოების ღირებულებათა სისტემის გაზომვასა და შეფასებას.

შემდეგ პარაგრაფში („რელიგია და მისი გავლენა ადამიანზე“) საუბარია, თუ სხვადასხვა ავტორი როგორ განსაზღვრავს რელიგიას, როგორც ღირებულებას, რა მახასიათებლები აქვს რელიგიურ ადამიანს განსხვავებით არარელიგიურისგან, რა გავლენას ახდენს რელიგია ადამიანზე, მის შინაგან სამყაროსა და ქცევის ფორმებზე, რა როლს ანიჭებს კლინიკური ფსიქოლოგია და ფსიქოლოგიური კონსულტირება რელიგიას ადამიანთა ცხოვრებაში, რა არის რელიგიისა და სულიერების ფუნქციები. ასევე მოყვანილია მოკლე ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული ტრადიციული რელიგიების შესახებ. პარაგრაფში განხილულია მოსაზრებები ათეისტებსა და ათეიზმის, როგორც ზებუნებრივი ძალების მიმართ ურწმუნოების შესახებ.

მეხუთე პარაგრაფში („რელიგიურობა და მისი სახეები“) განხილულია სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები რელიგიურობის სახეების, რელიგიურობის კლასიფიცირების ცდების შესახებ. მეცნიერები სხვადასხვა პერიოდში გამოყოფდნენ რელიგიურობის მომწიფებულ და მოუმწიფებელ, ჭეშმარიტ და უტილიტარულ, მისტიკურ და კანონიკურ, ავტორიტარულ და ჰუმანისტურ, გარეგან და შინაგან ფორმებს და ცდილობდნენ რელიგიური ორიენტაციის სკალების შედგენით გაერკვიათ ადამიანთა რელიგიურობის სახეები.

თავის მეექვსე პარაგრაფი („კვლევების მიმოხილვა“) მოიცავს ადამიანების ღირებულებათა სისტემების კვლევების განხილვას, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ავტორთა მიერ იქნა ჩატარებული. ასეთები იყო: „ღირებულებათა მსოფლიო გამოკვლევა“ – WVS, რომელიც 1981 წლიდან დღემდე 6-ჯერ არის ჩატარებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით; „ევროპულ ღირებულებათა გამოკვლევა“ – EVS, რომელმაც მოიცვა ევროპის ძირითადი ქვეყნები; შვარცის ღირებულებათა საკვლევი

კითხვარით სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კუთხით ჩატარებული კვლევები; რუსეთისა და უკრაინის ქვეყნებში რელიგიურობისა და ღირებულებათა სისტემის კვლევები; ასევე საქართველოში „კონფლიქტებისა და საერთაშორისო კვლევითი ცენტრის“ მიერ, მკვლევარების: მ. ჩიტაშვილის; ე. ჩომახიძის, კ. კოპალიანისა და შ. ლორთქიფანიძის; ლ. თარხნიშვილის, გ. ზედანიას, ნ. სუმბაძის, ა. გოგიავას, ნ. ჩიკვილაძის მიერ ჩატარებული გამოკვლევები.

ნაშრომის მეორე თავია ემპირიული ნაწილი, რომელიც შედგება 4 პარაგრაფისგან.

პარაგრაფი 1 – „საკითხის დასმა“. კვლევის დასაწყისში ჩვენ მიზნად დავისახეთ საქართველოში მცხოვრებ, სხვადასხვა ტრადიციული რელიგიების (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, მონოფიზიტობა, ისლამი, იუდაიზმი) აღმსარებელთა და ათეისტების ღირებულებათა სისტემების გამოკვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ამოცანა იყო, გამოგვეკითხა საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიების აღმსარებლები და ათეისტები ღირებულებათა სისტემის თავისებურებების საკვლევად, დაგვემუშავებინა და გავგვანალიზებინა კვლევის შედეგები.

პარაგრაფი 2 – „კვლევის მეთოდის“. ამ ნაწილში განხილულია შვარცის მიერ ღირებულებათა საკვლევად შემუშავებული მეთოდისა. შვარცის კითხვარის პირველი ნაწილი (რომელიც ჩვენს კვლევაში იქნა გამოყენებული) შედგება ღირებულებათა ორი ნუსხისაგან: პირველში წარმოდგენილია 30 ტერმინალური, ხოლო მეორეში -- 27 ინსტრუმენტული ღირებულება. კითხვარს ჩვენი მხრიდან დავუმატეთ ორი შეკითხვა, რომლებიც ეხებოდა ადამიანის მიერ ბედნიერების განცდასა და ტოლერანტულობას სხვა რელიგიების აღმსარებელთა და განსხვავებული ცხოვრების წესის მქონეთა მიმართ.

პარაგრაფი 3 – „კვლევის აღწერა და მონაცემთა დამუშავება“. გამოკითხვა ჩატარდა 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გამოსაკითხი რესპონდენტები: საქართველოში მცხოვრები ტრადიციული

რელიგიების (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, მონოფიზიტობა, იუდაიზმი, ისლამი) აღმსარებლები და ათეისტები. სულ 600 რესპონდენტი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ეროვნების 8 დონის (ქართველი, რუსი, ბერძენი, იტალიელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ფრანგი, ებრაელი), ორივე სქესის, ორი ასაკობრივი დონის (30 წლამდე და 30 წლის ზემოთ), განათლების ორი დონის (უმაღლესი, საშუალო), დასაქმების ორი დონისა (დასაქმებული, უმუშევარი) და მატერიალური მდგომარეობის სამი დონის (კარგი, საშუალო და მინიმალური) რესპონდენტებმა.

ძირითადი კვლევის დაწყებამდე 6 თვით ადრე ჩავატარეთ კითხვარის აპრობაცია, რის შედეგადაც გამოჩნდა, რომ კითხვარი ადაპტირებული და ვალიდურია ქართულ საზოგადოებაზე და მისი გამოყენება შეიძლებოდა ძირითადი კვლევისათვის. ძირითადი კვლევის დასრულების შემდეგ SPSS-ის დახმარებით დავთვალეთ მაჩვენებელთა სანდოობა როგორც ძირითადი კითხვარისთვის, ისე დამატებითი კითხვებისათვის კრომბახის ალფას გამოყენებით. მონაცემები როგორც ჯამური ($>0,7$), ასევე თითოეული მაჩვენებლის მიხედვით აღმოჩნდა სანდო - $0,69-0,73$.

პარაგრაფი 4 – „კვლევის შედეგები და მათი ანალიზი“. პირველ რიგში, შევადარეთ საშუალოთა განაწილება ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით როგორც ყველა ჯგუფის რესპონდენტებისთვის, ასევე ცალ-ცალკე მორწმუნეთა და ათეისტათვის და მორწმუნეთა ხუთივე ჯგუფისათვის. რის შედეგადაც დადგინდა, რომ მორწმუნეთათვის დამახასიათებელია კოლექტივისტური („კეთილგანწყობა“, „კონფორმულობა“, „უსაფრთხოება“), ხოლო ათეისტებისთვის - ინდივიდუალისტური ღირებულებები („მიღწევა“, „დამოუკიდებლობა“, „სტიმულირება“).

მორწმუნეებში მაღალი მნიშვნელობები მიიღო ღირებულებებმა: „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „ოჯახის უსაფრთხოება“, „ნამდვილი მეგობრობა“, „მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელი“, „ერთგული“, „პატიოსანი“. ხოლო ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა: „სოციალური ძალა“, „ავტორიტეტი“, „სიმდიდრე“, „განებივრებული“, „ტკბება ცხოვრებით“, „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“.

მორწმუნეთათვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „სულიერი ცხოვრება“.

ათეისტებთან ყველაზე მაღალი მნიშვნელობა მიიღო შემდეგმა ღირებულებებმა: „თავისუფლება“, „თანასწორობა“, „მინაგანი ჰარმონია“, „მიზანდასახული“, „დამოუკიდებელი“, „ჯანმრთელი“. ხოლო დაბალი შეფასების აღმოჩნდა ღირებულებები: „სულიერი ცხოვრება“, „სოციალური კუთვნილება“, „თვითდისციპლინა“, „ღვთისმოსავი“, „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“, „განებივრებული“.

რაც შეეხება სხვადასხვა აღმსარებლობების ადამიანებს, ღირებულებათა გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვანია 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის. ესენია: „ნამდვილი მეგობრობა“, „ოჯახის უსაფრთხოება“, „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „სულიერი ცხოვრება“, „ტრადიციების პატივისცემა“, „ზრდილობა“, „სოციალური სამართლიანობა“, „ეროვნული უშიშროება“, „მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელი“, „პატიოსანი“, „ერთგული“, „პასუხისმგებელი“, „ღვთისმოსავი“. ხოლო ნაკლებმნიშვნელოვანი ღირებულებები 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის არის: „სოციალური ძალა“, „სიამოვნება“, „ავტორიტეტი“, „განებივრებული“, „ტკბება ცხოვრებით“, „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“, „გავლენიანი“, „მამაცი“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების აღმსარებლების ღირებულებათა სისტემებს შორის არსებული მცირე სხვაობები იძლევა საკმარის რეზულტატს რელიგიურ ჯგუფებს შორის განსხვავებების დასადგენად.

ანალიზმა გვაჩვენა, რომ მორწმუნეებსა და ათეისტებს, ასევე სარწმუნოების ყველა ჯგუფს შორის უნივერსალიზმის გარდა, ყველა ღირებულებას აქვს სანდოობის მაღალი მაჩვენებელი, ე. ი. სარწმუნოების მიხედვით ღირებულებებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ რელიგიურობა ან არარელიგიურობა, ასევე სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლობა გავლენას ახდენს უნივერსალიზმის გარდა დანარჩენი სხვა ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. ეს კი ადასტურებს ჩვენს ორივე ჰიპოთეზას, რომელთა თანახმად, მორწმუნეებისა და ათეისტების, ასევე სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელთა ღირებულებების სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სხვადასხვა ცვლადების (ეროვნების, სქესის, ასაკის, დასაქმების, განათლების, მატერიალური მდგომარეობის) მიხედვით ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ განსხვავებები ყველაზე მეტად სანდოა

სარწმუნოების მხრივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს სარწმუნოება. ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ასევე ეროვნება და ასაკი. დანარჩენი მაჩვენებლები (სქესი, დასაქმება, განათლება და მატერიალური მდგომარეობა) გვადლევენ განსხვავებებს მხოლოდ ცალკეული ღირებულებების მიხედვით.

ჩვენი ჰიპოთეზების შემოწმების მიზნით გამოვყავით ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრების სტილსა და ქცევაზე. მორწმუნეებში პირველ, ძირითად ფაქტორში განთავსდა კოლექტივისტური ღირებულებები, ხოლო ათეისტებში - ინდივიდუალისტური. განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელთა ფაქტორული ანალიზის შედეგადაც, მათთვის წამყვანი და მეორეხარისხოვანი ღირებულებები არ არის ერთნაირი. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ორივე ჰიპოთეზის მართებულობას.

ანალიზით ასევე აღმოჩნდა, რომ მორწმუნეებში რელიგიურობის მომატება ზრდის კოლექტივისტურ ღირებულებებს: კონფორმულობას, ტრადიციულობასა და კეთილგანწყობას, ხოლო ამცირებს დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას. მცირდება ასევე უსაფრთხოება, რაც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ რელიგიურობა ადამიანს მატებს დაცულობის შეგრძნებას და მას უსაფრთხოების მოთხოვნილება ნაკლებად აქვს.

ათეისტებთან განსხვავებული სურათია: მათთან არარელიგიურობის მომატება ზრდის უნივერსალიზმს, დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას, იმატებს ასევე უსაფრთხოების მოთხოვნილება, ხოლო კოლექტივისტური ღირებულებების მნიშვნელობა მცირდება.

სხვადასხვა სარწმუნოებრივ ჯგუფებში ჩატარებული ანალიზით აღმოჩნდა, რომ მართლმადიდებლობის მომატება ზრდის კოლექტივისტურ და ამცირებს ინდივიდუალისტურ ღირებულებებს, ამცირებს ასევე უსაფრთხოების მოთხოვნილებას. გამონაკლისია სტიმულირება, რომელიც მატულობს. კათოლიკეებში რელიგიურობის მომატება ასევე ამცირებს ინდივიდუალისტურ ღირებულებებსა და უსაფრთხოებას. მონოფიზიტებში რელიგიურობის მომატება ამცირებს მიღწევასა და ძალაუფლებას, ხოლო ჰედონიზმს ზრდის. მაჰმადიანებში რელიგიურობის მომატება ამცირებს სტიმულირებასა და ჰედონიზმს,

ზრდის უსაფრთხოებას. ხოლო იუდეველებში რელიგიურობის მომატება იწვევს ტრადიციულობისა და მიღწევის მომატებას და უნივერსალიზმისა და დამოუკიდებლობის დაქვეითებას.

როგორც ვხედავთ, მორწმუნეებისა და ათეისტების, ასევე სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების ღირებულებები რეგრესიული ანალიზითაც განსხვავდება ერთმანეთისგან.

კვლევის პროცესში შვარცის ღირებულებების ნუსხის გარდაკითხვარში შეტანილი გვქონდა ორი დამატებითი კითხვა. პირველი ეხებოდა ბედნიერების განცდას, მეორე კი - ტოლერანტულობას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში.

ბედნიერების განცდა - რესპონდენტთა ყველა ჯგუფის მონაცემების მიხედვით, ბედნიერების განცდის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ 600 გამოკითხულიდან ბედნიერად თავს მიიჩნევს 87,1%, ხოლო უბედურად - 1,5%, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 600-დან 500 რესპონდენტი რელიგიურია.

აღნიშნული მონაცემები შევაფასეთ რელიგიის გათვალისწინებით რესპონდენტთა ჯგუფების მიხედვით. როგორც აღმოჩნდა, ხუთივე რელიგიის წარმომადგენლებში ერთნაირად მაღალია ბედნიერების განცდა (81-92%), ვიდრე ათეისტებში (80,0%), რომლებშიც, გარდა ამისა, საკმაოდ მაღალია დადებითი პასუხი ვარიანტზე „უბედური“ (7%) რელიგიურ რესპონდენტებთან შედარებით, რომლებთანაც აღნიშნული პასუხი არის 0-1%.

ტოლერანტულობა სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით - კითხვარში შეტანილი მეორე დამატებითი კითხვა ეხებოდა ტოლერანტულობას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში. შედეგები შევაფასეთ ჩვენს კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ყველა დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით (სარწმუნოება, ეროვნება, ასაკი, სქესი, დასაქმება, განათლება, მატერიალური მდგომარეობა) დაჯგუფების გათვალისწინებით. როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, ერთიდაიგივე კატეგორიის ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება მსგავსია სარწმუნოების, ეროვნების, ასაკის, სქესის და ა. შ. მიუხედავად.

ყველაზე ტოლერანტული დამოკიდებულება გამოქვდავდა ჩვენთან ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების

წარმომადგენელთა მიმართ. ასევე საკმაოდ შემწყნარებლური დამოკიდებულება გამოიკვეთა სხვა რასის წარმომადგენელთა და სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევართა მიმართ. რესპონდენტთა დაახლოებით 15% უარყოფითად არის განწყობილი ქორწინების გარეშე ერთად მცხოვრები წყვილის მიმართ, მაგრამ მეტ ნაწილს მაინც ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ ადამიანთა ამ ჯგუფისადმი. ქორწინების გარეშე მცხოვრები წყვილი მიუღებელია რელიგიისათვის, ამიტომ უფრო მეტადაა გამოხატული მათ მიმართ ნეგატიური განწყობა. შედარებით ნაკლებად ნეგატიურად არიან მათ მიმართ განწყობილი კათოლიკეები, ათეისტები, იტალიელები, ფრანგები და 30 წლამდე ახალგაზრდები. უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ უფრო მეტად უარყოფითად არიან განწყობილი მართლმადიდებლები, მაჰმადიანები, ქართველები, აზერბაიჯანელები, უფროსი ასაკის ადამიანები და მინიმალური მატერიალური მდგომარეობის მქონენი. შედარებით მეტი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა შიდასივრცით დაავადებულთა მიმართ. დაბოლოს, ყველაზე მეტი უარყოფითი განწყობა დაფიქსირებულია ლოთის (საშუალოდ 70-80%), ნარკომანისა (საშუალოდ 80-85%) და ჰომოსექსუალის (საშუალოდ 60-70%) მიმართ.

სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა მიმართ დამოკიდებულების მსგავსება სარწმუნოების, ეროვნების, ასაკის, სქესის და ა. შ. მიუხედავად, ჩვენი აზრით, გამოწვეულია საქართველოში არსებული პირობებით. როდესაც წამყვანია თვითგადარჩენის ღირებულებები, მაღალ ფასეულობებზე საუბარი ნაადრევია. ერთი მხრივ, გვაქვს საზოგადოება, რომელშიც ისეთი კულტურული ნორმები და ურთიერთობები მოქმედებდა, რომელიც ითვალისწინებდა ტოლერანტულობას, თუმცა განსხვავებული ადამიანების მიმართ დამოკიდებულება მაინც ვერ აღმოჩნდა მთლიანად მიმდებლური. თვითგადარჩენის პირობებში ვერც მორწმუნე იქცევა უნაკლოდ და ვერც ათეისტი. ასეთი დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, რომ არ არის ინდივიდუალური და პრობლემების მქონე ადამიანი ზოგადად საზოგადოებისთვის არის მიუღებელი.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოში მცხოვრები მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ძირითადი ღირებულებები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მორწმუნეთათვის პრიორიტეტულია კოლექტივისტური ღირებულებები, ხოლო ათეისტებისთვის - ინდივიდუალისტური. მორწმუნეების ღირებულებათა სისტემა ორიენტირებულია ახლობლებზე, ოჯახზე, სხვების პატივისცემაზე, საყოველთაო მშვიდობაზე, ხოლო მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ზოგადად საზოგადოები-სათვის მიუღებელი ღირებულებები.

ათეისტებისთვის უმთავრესია თავისუფლება, თანასწორობა და შინაგანი ჰარმონია, ვიდრე მეგობრობა და სხვების აზრის გათვალისწინება. მათთვის ასევე პრიორიტეტულია საკუთარ თავზე ორიენტირებული ღირებულებები: „მიზანდასახული“, „დამოუკიდებელი“, „ჯანმრთელი“.

ღირებულებების მოტივაციურ ტიპებად დაჯგუფების შედეგად მორწმუნეებში საშუალოთა მაღალი მნიშვნელობა მიიღო კოლექტივისტურმა ღირებულებებმა (კეთილგანწყობა, კონფორმულობა, ტრადიციულობა), ათეისტებში კი ინდივიდუალისტურმა ღირებულებებმა (მიღწევა, დამოუკიდებლობა, სტიმულაცია, ძალაუფლება, ჰედონიზმი), რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ისინი მეტად არიან ორიენტირებული საკუთარ მიღწევებსა და ინდივიდუალურ წარმატებაზე.

მორწმუნეთათვის ასევე მნიშვნელოვანია სულიერი ცხოვრება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ათეისტებისთვის.

რელიგიურობის მომატება ზრდის კოლექტივისტურ ღირებულებებს: კონფორმულობას, ტრადიციულობასა და კეთილგანწყობას, ხოლო ამცირებს დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას. მცირდება ასევე უსაფრთხოება, რაც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ რელიგიურობა ადამიანს მატებს დაცულობის შეგრძნებას და მას უსაფრთხოების მოთხოვნილება ნაკლებად აქვს.

ათეისტებთან არარელიგიურობის მომატება ზრდის უნივერსალიზმს, დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას, იმატებს ასევე

უსაფრთხოების მოთხოვნილება, ხოლო კოლექტივისტური ღირებულებების მნიშვნელობა მცირდება.

შესწავლილ სხვადასხვა რელიგიის მიმდევარ ადამიანებს აქვთ ჩამოყალიბებული, ერთმანეთის თითქოს მსგავსი, მაგრამ მთლიანობაში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ღირებულებათა სისტემები. ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ღირებულებათა გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვანია 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის. ასევე მსგავსია მათთვის ნაკლებმნიშვნელოვანი ღირებულებები. თუმცა 57 ღირებულების მიხედვით განსხვავებები მნიშვნელოვან ზღვარს აღწევს და დასაბუთებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესწავლილ სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს აქვთ ერთმანეთისგან განსხვავებული ღირებულებათა სისტემები. განსხვავება გამოვლინდა 10 ღირებულებათა ჯგუფიდან ყველგან, გარდა უნივერსალიზმისა. სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის განსხვავება გამოვლინდა რეგრესიული ანალიზითაც.

კვლევის შედეგად ჩვენი ორივე ჰიპოთეზა დადასტურდა, როგორც მორწმუნეებისა და ათეისტების, ასევე სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისგან.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. წიკლაური ხ., ქართველი მართლმადიდებლების ღირებულებათა სისტემის თავისებურებები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2014, №26, გვ.: 32-39;
2. წიკლაური ხ., ქრისტიანული რელიგიების (მართლმადიდებლობა, გრიგორიანობა, კათოლიციზმი) აღმსარებელი მოსახლეობის ღირებულებათა სისტემის თავისებურებები

საქართველოში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2015, ტ. XIII, გვ.: 507-517;

3. Tsiklauri Kh., Properties Of The Value Systems Among The Believers Of Traditional Religions In Georgia, An International Quarterly Journal Of Social Science „Karadeniz“, 2015, №7, pp.: 139-149;

St. Andrew the First-Called Georgian University of Patriarchate of Georgia

Rights of manuscript

Faculty of Social Sciences

The educational programm of Psychology, Psychodiagnostics and Councelling

Khatia Tsiklauri

Research of the values of believers and atheists in Georgia

Dissertation abstract submitted for psychology ph.D degree

Speciality: Psychology

Tbilisi

2016

The thesis is executed through the course of Psychology at the Department of Social Sciences concepts at St. Andrew The First-Called Georgian University of The Patriarchate of Georgia.

Research Director: **Dimitri Nadirashvili**, Doctor of Psychology, Professor

Official opponents:

1. **Maia Kalandarishvili**, Doctor of Psychology, Associated professor;
2. **Maka Kharshiladze**, Doctor of Psychology, Associated professor.

The Defense of the Thesis will be held on February 27, in 2017, at 12.00, at the commission meeting of Psychology Department in St. Andrew The First-Called Georgian University of The Patriarchate of Georgia.

Address: 0179, Tbilisi, Ilia Chavchavadze Ave. N 53a, St. Ilya lecture-hall.

To study the Thesis is possible in the library of St. Andrew The First-Called Georgian University of The Patriarchate of Georgia .

Dissertation Council Secretary:
Nona Akhalashvili,
Doctor of Psychology, Associated Professor

C o n t e n t s

	Pg.:
General Characterization of the Work	
Relevance of a Subject -----	24
Research Hypothesis -----	24
The Main Goal and Objectives of The Research -----	25
